

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
განათლების ფაკულტეტი

სულეიმან ჩელიკი

მრავალმხრივი ინტელექტის გავლენა მოსამზადებელი განყოფილების სტუდენტების
კითხვის სწავლებაზე (ერაყის შემთხვევა)

სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი
განათლების მეცნიერებებში

თბილისი
2013

ხელმძღვანელი

პროფესორი, დოქტორი ნათელა დოდონაძე

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ეკატერინე ფიფია

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ირმა მესირიძე

ოპონენტები

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი თამარ ჯოჯუა

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ნანა ბლუაშვილი

ნაშრომის მოკლე შინაარსი

ბოლო ორმა ათწლეულმა უზარმაზარი ცვლილებები მოიტანა წიგნიერ განათლებაში. ბევრს კამათობენ იმაზე, თუ როგორ ვასწავლოთ კითხვა და ჩვენ როგორც პედაგოგებმა როგორ დავაინტერესოთ სტუდენტები. ზოგიერთ მკვლევარს სწამს, რომ კითხვის სწავლებისას ფონეტიკურ ასპექტს გავუსვათ ხაზი, სხვებს კი - რომ არა, ზორს ადაპტირებული ლიტერატურის გამოყენებით სწავლება მიაჩნია სწორად, ზოგს კი მხოლოდ ორიგინალურის, ზოგიერთის აზრით ჯგუფების ჰომოგენური შემადგენლობა უფრო ეფექტურია, ვიდრე ჰეტეროგენული, ზოგს ადრეული ჩარევა სასწავლო პროცესში ურჩევნია, სხვას კი - „დაელოდე-და-ნახე“ მიდგომა, ზოგი მოითხოვს დეტალურ გაგებას, სხვა კი დაახლოებითი გაგებით კმაყოფილდება (ფოუნტასი & პინელი, 1996). დღეს კითხვის სწავლების დროს ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც მოსწავლეების ინდივიდუალური განსხვავებებია საკლასო ოთახში.

1960-იან წლებში „ჰუმანიზმის“ გამოჩენამ ხელი შეუწყო იმ მოვლენას, რომ ჩვეულებრივმა, ავტორიტარულმა, მასწავლებელზე ორიენტირებულმა სწავლებამ ადგილი დაუთმო სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას. აღმზრდელებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ შემსწავლელების ემოციურ ფაქტორებს (მათ გრძნობებს, ემოციებს, დაძაბულობას, აღელვებას, იმედაცრუებასა და ა.შ) გავლენა ჰქონდა სწავლის პროცესზე. 1970-80-იან წლებში მოწმენი გავხდით ინგლისური ენის სწავლების რამოდენიმე ინოვაციური მიდგომის, მეთოდის თუ ტექნიკის დაბადების და განვითარების. ესენია: ჩუმი მეთოდი, სრული ფიზიკური რეაგირება, სუგესტოპედია, ბუნებრივი მიდგომა, კომუნიკაციური მიდგომა, კოოპერაციული სწავლა, ინტერაქტიური სწავლა, მთელი ენის შესწავლა, დავალებაზე დამყარებული ენის სწავლა (ფრიმენი, 2000). ზემოთ ხსენებულ სწავლების მეთოდებსა და მიდგომებს ემატება კიდევ ერთი - გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორია, როგორც სწავლებისასდმი ერთ-ერთი მიდგომა. გარდნერი ამტკიცებდა რომ სწავლების მეთოდები უნდა ყოფილიყო მოქნილი და მორგებული განსხვავებული ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე სტუდენტებზე. მრავალმხრივი ინტელექტის თეორია გამოყენებული უნდა ყოფილიყო ეფექტურად და ეს ცვლილება ხელსაყრელი იქნებოდა როგორც სტუდენტებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის და საზოგადოებისთვის.

მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის მიხედვით ინტელექტი არ არის ერთგვაროვანი, ამიტომ სწავლებაშიც მასწავლებელი არ შეიძლება ერთგვაროვან

მეთოდებს იყენებდეს. აქედან გამომდინარე გარდნერი გვთავაზობს, რომ სწავლება და სწავლა აღქმულ იქნას სხვადასხვა კუთხით. მისი თეორიის მიხედვით არსებობს რვა სახეობის ინტელექტი: ლინგვისტურ-ვერბალური, მათემატიკურ-ლოგიკური, სივრცითი, პიროვნებათაშორისი, ინტრაპერსონალური, მუსიკალური, კინესთეტიური და ნატურალისტური. ყველა ამ ინტელექტის მქონე ადამიანისთვის სწავლის ეფექტური მეთოდი განსხვავებულია.

სწავლებისა და სწავლის პროცესში ყველა ინტელექტი საჭიროა, ამიტომ მასწავლებელმა ყველა მათგანს პოტენციურად თანაბარი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს ჯგუფთან მუშაობისას. შესაძლოა ჯგუფში რამოდენიმე სტუდენტმა გამოთქვას სურვილი, გამოყენებულ იქნას ერთი ტიპის ინტელექტი, მაშინ როდესაც სტუდენტების მეორე ჯგუფი ითხოვს მეორე ან მესამე ტიპის ინტელექტის გამოყენებას. ეს მიდგომა ტრადიციული, მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლების მიდგომისგან მკვეთრად განსხვავდება, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ ვერბალურ და მათემატიკურ ინტელექტს ავითარებს. მაშასადამე, მრავალმხრივი ინტელექტის თეორია გულისხმობს მასწავლებლების მიერ აღიარებულ და გამოყენებულ უნარების ფართო სპექტრს, რომელიც დამყარებულია ინტელექტის განსხვავებულ ტიპზე.

გარდნერის რეკომენდაციით კლასში გამოყენებული ინტეგრირებული სწავლება სტუდენტთა ბუნებრივი ნიჭის წარმატებით გამოყენებას შეუწყობს ხელს. ინტეგრირებული სწავლება არის სისტემა, რომლის დროსაც გამოყენებულია სხვადასხვა მიდგომები, როგორცაა თამაშები, მუსიკა, ისტორიები, სურათები და სხვ. თუ მასალას ვასწავლით და შევაფასებთ მხოლოდ ერთი მიმართულებით, გამოვა, რომ მხოლოდ ერთი ტიპის სტუდენტებს დავაინტერესებთ. არმსტრონგი (1999) და ლი (2001) რეკომენდაციას უწევენ თვით სტუდენტებმა გამოარკვიონ, სწავლების რომელი სტრატეგია მუშაობს მათთვის უკეთ.

ამ ცნებაზე დამყარებული წარმატება ეხმარება სტუდენტებს და მასწავლებლებს, უბიძგონ მოსწავლეებს, გამოიკვლიონ სწავლების არატრადიციული მეთოდები. მრავალმხრივი ინტელექტის თეორია ბევრ მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, წარმატებას მიაღწიონ სწავლაში. გარდნერი (1999) ამტკიცებს, რომ მრავალმხრივი ინტელექტის გამოყენება კლასში მეტისმეტად სასარგებლოა. მასწავლებლებმა უნდა მიმართონ შესასწავლ თემებს განსხვავებულად, რათა სტიმულირება გაუკეთონ რვავე სახის ინტელექტს. ჩეფმენმა (1993) განაცხადა, რომ მრავალმხრივი ინტელექტის მიდგომა მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას, განსაზღვროს შემსწავლელთა

შედეგები. მასწავლებელს შეუძლია განსაზღვროს სწავლის გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა ინტელექტის განვითარებას. ის ასევე გვთავაზობს, რომ მასწავლებელმა დიფერენცირება გაუკეთოს ინსტრუქციებს სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის.

იმ ფაქტის გამო, რომ კითხვის პროცესი ერთ-ერთი რთული პროცესია და ამ პროცესში ყველა შემსწავლელი განსხვავებულია ერთმანეთისგან, შევეცადე გამომერკვია, თუ რა გავლენას ახდენს მრავალმხრივი ინტელექტი კითხვის სწავლების პროცესზე და თან შემემოწმებინა ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა. სწორედ ამის გამო ჩვენი კვლევა ექსპერიმენტულია(რაოდენობრივი), რადგან კითხვის უნარ-ჩვევების გაზომვაა გამოყენებული სწავლების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებისას.

ექსპერიმენტის მიზანი შემდეგია:

- ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტების მოტივაციის გაზრდა ისეთი აქტივობების შეთავაზებით, რომელიც შესაბამისობაშია მათი ინტელექტის ტიპისთვის;
- კითხვის პროცესის გამარტივება და კითხვის დროს სიამოვნების მიღება;
- ყოველი სტუდენტისთვის ინდივიდუალური მიდგომის შემუშავება;
- სტუდენტებისთვის უფლების მიცემა, რომ გამოიყენონ სწავლის ის სტრატეგიები , რომლებიც უმჯობესია მათთვის;
- და ბოლოს, კითხვის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება.

პრობლემები, რომლებიც ვეცადე რომ გადამეჭრა ჩემს დისერტაციაში შემდეგია:

- მიუხედავად იმისა, რომ კითხვა არ არის ყველაზე რთული უნარ-ჩვევა უცხოენობრივ უნარ-ჩვევებს შორის, ის მაინც რთული პროცესია სტუდენტებისთვის როგორც ფსიქოლოგიურად, ისე ლინგვისტურად, განსაკუთრებით მათთვის, ვისთვისაც მშობლიურ ენაშიც კითხვის უნარ-ჩვევები არ არის მაღალ დონეზე. თუ არ ვასწავლით/ისწავლიან კითხვას ადეკვატურად, მაშინ სტუდენტებს განუვითარდებათ უარყოფითი დამოკიდებულება კითხვის მიმართ და შესაბამისად მივიღებთ უარყოფით გავლენას სწავლის პროცესზეც და უნარ-ჩვევების ხარისხზეც.

- მიუხედავად სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების შესანიშნავი დევიზის არსებობისა, რეალობაში მაინც ვერ უზრუნველყოფთ ყოველ სტუდენტს იმ ინდივიდუალური მიდგომით, რაც გამოიწვევს მოტივაციაში ცვლილებას.
- როგორც მასწავლებელს, ისე ყოველ მოსწავლეს გააჩნია რვავე ტიპის ინტელექტი, მაგრამ სხვადასხვა დოზით. სხვადასხვა ტიპის ინტელექტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მარტო შესწავლის, არამედ სწავლების პროცესშიც (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მასწავლებელი გაუცნობიერებლად აკეთებს ამას). მასწავლებლის ინტელექტის დომინანტურ ტიპმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს სწავლების პროცესზე, თუ კი ის გამოიყენებს მხოლოდ ერთი სახის აქტივობებს (რომელიც ინტელექტის მხოლოდ მისი ტიპისთვის არის შესაფერისი).

ჰიპოთეზა

თუ სტუდენტებს დავაჯგუფებთ მათი ინტელექტის დომინანტური ტიპების მიხედვით და მათთვის შესაბამისი სახეობის აქტივობებს გავუკეთებთ ორგანიზებას, მაშინ ეს დადებით გავლენას მოახდენს კითხვის სწავლებაზე.

კვლევის მეთოდები

ზემოთ განხილული პრობლემების გადასაჭრელად მივმართეთ კვლევის შემდეგ მეთოდებს:

- საკითხთან დაკავშირებული არსებული ლიტერატურის განხილვასა და ანალიზს;
- დაკვირვებას;
- გამოკითხვას;
- ექსპერიმენტს;
- გამოკითხვისა და ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მონაცემების სტატისტიკურ ანალიზს.

საკვლევი საკითხები განსაკუთრებით ეხებოდა სტუდენტების მიერ წაკითხულის გააზრებას და მრავალმხრივი ინტელექტის თეორიაზე დამყარებული სწავლების განსხვავებული ტექნიკის დადებით როლს. ამ ყველაფერს მივყავართ ექსპერიმენტული კვლევისკენ (გამოყენებულია რაოდენობრივი, რადგან ადგილი აქვს უნარ-ჩვევების ანალიზს, და თვისობრივი, რადგან გაკეთებულია მოდელის შემუშავების მცდელობა, კვლევა).

სანამ ექსპერიმენტს დავიწყებდი, განვსაზღვრე სტუდენტების ინტელექტის დომინანტური ტიპი. ამისათვის გამოვიყენე :

- მრავალმხრივი ინტელექტის დასადგენად ორი განსხვავებული კითხვარი;
- დაკვირვება;
- მასწავლებლებთან საუბარი;
- მშობლებთან საუბარი.

სტუდენტთა კითხვის უნარ-ჩვევების პროგრესი რომ დამეფიქსირებინა, ექსპერიმენტის პროცესში მივმართე:

- ექსპერიმენტამდელ (პრეტესტი), ექსპერიმენტის შემდგომ (პოსტ ტესტი) და სამ პროგრეს ტესტს;
- ინტერვიუს;
- კითხვამდელ და კითხვის-შემდგომ შემოწმებას.

სიახლე

1980-იან წლებში ჰოვარდ გარდნერის უდიდეს ნაშრომში „გონების საზღვრები“(1983) გამოჩნდა მრავალმხრივი ინტელექტის თეორია. მას შემდეგ ამ თეორიას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთელს მსოფლიოში ფსიქოლოგიის მიმართულებით. აღნიშნული თეორია მსოფლიოს მასშტაბით 60-ზე მეტ ქვეყანაში გამოიყენება საგანმანათლებლო სფეროში. მიუხედავად ამისა, მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის გამოყენება უცხო ენის სწავლების პროცესში საკმაოდ ახალია. რამდენადაც ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა მაძლევს ამის თქმის საშუალებას, ერაცის მაგალითის შესწავლა ამ კუთხით ჯერ არ განხორციელებულა. სწორედ ესაა ჩემი საკვლევით თემის სიახლე, განსაკუთრებით ამ ქვეყნისთვის.

თეორიული ღირებულება

ჩემი კვლევა თეორიულად დამყარებულია მრავალმხრივი ინტელექტის თეორიაზე (გარდნერი, 1983, 1993, 1999, 1999ა, 1999ბ, 2003, 2006). ვეცადე ჩემი მოკრძალებული წვლილი შემეტანა და გამეფართოვებინა ის, წარმოდგენილი ეფექტების შესწავლით ჩამომეყალიბებინა ამ თეორიის გავლენა კითხვის უნარ-ჩვევების ფორმირებასა და კითხვის მოტივაციაზე.

დისერტაცია სისტემურად აანალიზებს:

- ინტელექტზე შეხედულების ისტორიას;
- კითხვას ფსიქოლოგიურ და ლინგვისტურ ჭრილში;
- ურთიერთკავშირს კითხვის უნარებში დახელოვნებასა და სტუდენტთა ინტელექტს შორის;
- კითხვის ეფექტურად სწავლებისათვის გამოყენებულ აქტივობებს (სტუდენტთა ინტელექტის დომინანტური ტიპის ხაზგასმით) .

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა

რეკომენდაციები, რომელიც გაკეთებულია დისერტაციაში, დაეხმარება უცხო/მეორე ენის მასწავლებლებს, გაიუმჯობესონ კითხვის სწავლების პრაქტიკა და განახორციელონ სტუდენტზე ნამდვილად ორიენტირებული სწავლება.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნის და დანართისაგან. მასში წარმოდგენილია 13 ცხრილი.

დისერტაციის მოკლე შინაარსი

პირველი თავი: მრავალმხრივი ინტელექტი - ლიტერატურის მიმოხილვა

პირველ თავში მოცემულია ინტელექტის განმარტება და ფაქტორები, რომლებიც მასზე გავლენას ახდენენ. მეოცე საუკუნის დასაწყისში ინტელექტი ფსიქოლოგების მჭიდრო კვლევის საგნად იქცა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არსებობს მისი ჩამოყალიბებული განმარტება. მიუხედავად იმისა, რომ ინტელექტის კონკრეტული განსაზღვრება არ არსებობს, ფსიქოლოგები შეთანხმდნენ, რომ ის არის პიროვნების უნარი შეიმეცნოს საკუთარი გამოცდილებიდან, გამოიყენოს მეტაკოგნიტური პროცესები, რათა განავითაროს სწავლის პროცესი და შეეგუოს არსებულ გარემო პირობებს. ის მოიცავს ისეთ ცნებებს, როგორცაა: ფიქრი და პრობლემის გადაჭრა, სწავლა და მეხსიერება, ენა, ინტუიცია და შემოქმედებითობა, ცნობიერება, ემოციურობა, გარემოს აღქმის და მისადმი ადაპტირების უნარები. ინტელექტის კომპონენტებისადმი არსებობს მრავალგვარი მიდგომები და გასაკვირი არ არის, ინტელექტის გაზომვა ძალიან რთული რომ აღმოჩნდა. ფსიქოლოგები, რომლებიც ინტელექტს შეისწავლიან, უფრო მეტად არიან ფოკუსირებულები ინტელექტის განვითარების შემოწმებაზე და ეყრდნობიან ტესტს, რომელიც ზომავს პიროვნების

ინტელექტის დონეს (ე.წ. IQ-ს). ინტელექტის შეფასების პირველი ტესტი შემუშავებულ იქნა ალფრედ ბინესა და მისი კოლეგა თეოდორ საიმონის მიერ.

ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ გარემო მთავარი განმსაზღვრელია ფაქტორია ინტელექტის განვითარებაში, მაშინ როდესაც სხვები ამტკიცებენ, რომ ინტელექტზე მთავარ გავლენას გენეტიკური ფაქტორი ახდენს.

მას შემდეგ, რაც ჩარლზ სპირმენმა 1904 წელს დაასკვნა, რომ ინტელექტი ერთი მთლიანობაა, განსხვავებული თეორიები გამოჩნდა ინტელექტის შესახებ. ესენია: ლუის ლინ ტარსტონის (1938) თეორია პირველად მენტალურ უნარებზე; კატელის (1950) თეორია თხევად და კრისტალურ ინტელექტზე; სტერნბეგის პიროვნების ინტელექტის სამთაღოვანი თეორია და ჰოვარდ გარდნერის (1983) მრავალმხრივი ინტელექტის თეორია. მოგვიანებით შემოსული თეორიები ფოკუსირებულია პლურალისტურ ინტელექტზე უფრო მეტად, ვიდრე ინტელექტის ერთიან შინაარსზე. გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორია იყო ის ძირითადი თეორია, რომელსაც დისერტაციაში დავყრდენი. გარდნერმა დაასკვნა, რომ ყველა ადამიანს გააჩნია შვისი ტიპის ინტელექტი მეტ-ნაკლები დოზით. მას შემდეგ, რაც თავისი თეორია განავითარა, დაამატა კიდევ ერთი - მერვე ტიპის ინტელექტი (გარდნერი 1993). ეს ინტელექტის შემდეგი ტიპებია: ლინგვისტურ-ვერბალური, მათემატიკურ-ლოგიკური, სივრცითი, პიროვნებათაშორისი, ინტრაპერსონალური, მუსიკალური, კინესთეტიკური და ნატურალისტური. გარდნერის თეორია (1993) ამტკიცებს, რომ ინტელექტს აქვს განსხვავებული და დამოუკიდებელი უნარი, რომლის შედეგადაც იძებნება განსხვავებული გზები გარემო სამყაროს უკეთ შემეცნების, გაგების და სწავლის მიზნით. ეს განსაკუთრებით ძლიერ განშტოებებს ქმნის კლასში, რადგან, თუ მოვახდენთ სტუდენტთა ინტელექტის დომინანტური ტიპის დადგენას, მაშინ შესაძლებელი გახდება შემსწავლელთა განსხვავებული უნარ-ჩვევების განვითარება უფრო წარმატებული გახდეს და მათ დადებითი დამოკიდებულება განუვითარდეთ სწავლისადმი.

შემსწავლელების ასაკობრივ სხვაობას ძალიან დიდი გავლენა აქვს სწავლებისა და სწავლის პროცესზე. ჩემი ექსპერიმენტის მონაწილეები იყვნენ მოსამზადებელი განყოფილების სტუდენტები, რომლებიც თავიანთი ცნობიერების განვითარების უმაღლეს წერტილზე იმყოფებოდნენ. მათ გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები უნდა გამხდარიყვნენ. მათი ინტელექტის დომინანტური ტიპები, როგორც მათი იდენტობის ნაწილი, უკვე ჩამოყალიბებული იყო და სწორედ ეს გვაძლევდა იმის საშუალებას, შესაბამისად დაგვეჯგუფებინა

ისინი შესაბამისად როგორც კლასში, ისე საშინაო დავალების შესრულების დროს. ერაყელ სტუდენტებზე კოლექტივიზმი დადებით გავლენას ახდენს ჯგუფურად მუშაობის პროცესში. მათი ცოდნის დონე და უნარები იმის საშუალებას იძლევა, რომ იყვნენ კარგი მკითხველები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემს კვლევაში ჩანს, რომ მოსამზადებელი განყოფილების სტუდენტები მაინც განიცდიან სიძნელეებს კითხვის პროცესში. ეს სიძნელეებია:

- მოტივაციის ნაკლებობა კითხვის დროს;
- არათანაბარი გონებრივი განვითარება;
- გაურკვეველი ინტერესი;
- პირადი პრობლემები, რომლებიც ხელს უშლით სწავლაში;
- აბსტრაქტული აზროვნება, რომლითაც ხასიათდება ფორმალური ოპერაციების სტადია (პიაჟეს მიხედვით), ჯერ-ჯერობით არასათანადოდაა განვითარებული;
- ზოგადი ცოდნის ნაკლებობა და ხშირად უარყოფითი დამოკიდებულება მის მიმართ, განსაკუთრებით როდესაც საქმე დასავლურ კულტურას ეხება.
- ინიციატივის ნაკლებობა.

თავი მეორე. ინტელექტი და კითხვის სწავლება - დისკუსია

თავი ეძღვნება მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის განვითარებას იმისათვის, რომ უკეთესად იყოს გაგებული, თუ როგორ შეიძლება აისახოს მოსწავლეების ინდივიდუალური თავისებურებები აუდიტორიაში მუშაობისას. სხვადასხვა ტიპის ინტელექტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ენის სწავლებისას დავალებების შესრულების პროცესში. მაგალითად, ისეთი აქტივობა, როგორცაა სიმღერის შესრულება, გამოსადეგია ლინგვისტური და მუსიკალური ტიპის ინტელექტის განვითარებისთვის. როლური თამაშები, სადაც შემსწავლელები გამოხატავენ თავიანთ გრძნობებს - ლინგვისტური, პიროვნებათმორისი და ინტრაპერსონალური ინტელექტის განვითარებისთვის. ისეთი დავალების გამოყენების დროს, სადაც შემსწავლელებს სჭირდებათ იმიტირება - კინესთეტური და ინტერპერსონალური უნარები არის ჩართული. მრავალმხრივი ინტელექტი არის მნიშვნელოვანი და შესანიშნავი იარაღი მასწავლებლებისთვის, რათა სწორად დაგეგმონ სხვადასხვა მიმზიდველი გზები ენის შესწავლის პროცესში.

მრავალმხრივი ინტელექტის თეორია სთავაზობს მასწავლებლებს შესაძლებლობას, განავითარონ სწავლების ინოვაციური სტრატეგიები, რომელიც შეადარებით ახალია საგანმანათლებლო სისტემაში. მრავალმხრივი ინტელექტის თეორია გვარწმუნებს, რომ არ არსებობს ისეთი სტრატეგია, მიდგომა, რომელიც მორგებულია ყველა

სტუდენტზე დროის ყოველ მონაკვეთში. ყველა შემსწავლელს განსხვავებული მიდრეკილება აქვს, ასე რომ ერთი სტრატეგია მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა მხოლოდ ერთი ჯგუფის სტუდენტებისთვის და არა ყველასთვის (არმსტრონგი, 2009).

სწორედ იმ ინდივიდუალური განსხვავებების გამო ექსპერიმენტის პროცესში გამოვიყენე სწავლების სხვადასხვა სტრატეგიები და აქტივობები. მხედველობაში მივიღე სტუდენტების ინტელექტის განსხვავებული ტიპი და ხაზი გავუსვი განსხვავებულ აქტივობებს შესატყვის ქვე-ჯგუფებში. სხვადასხვა აქტივობების გამოყენებით შევეცადე ყველა სტუდენტი აქტიურად ჩამერთო გაკვეთილის პროცესში და მათთვის სწავლა სასიამოვნო გამხდარიყო. 2.2.1-2.2.8 ქვეთავებში წარმოდგენილია სწავლების რამოდენიმე სტრატეგია და კითხვის უნარ-ჩვევების განმავითარებელი აქტივობები ინტელექტის ყოველი ტიპისათვის.

მეორე თავის შესაჯამებლად საჭიროა აღვნიშნოთ, რომ კითხვის უნარ-ჩვევები ვითარდება სტუდენტთა ინტელექტის, მათი ცოდნის და ინტერესის მიხედვით. სწორედ ამიტომ ვგეგმავ ვაჩვენო მესამე თავში, ექსპერიმენტის მიმდინარეობაში, რომ სტუდენტთა დაჯგუფება მათი ინტელექტის დომინანტური ტიპის მიხედვით და მათთვის შესაბამისი სავარჯიშოების შეთავაზება გააუმჯობესებს სტუდენტების კითხვის უნარ-ჩვევებს.

თავი მესამე. მრავალმხრივი ინტელექტის კვლევა კითხვის სწავლების პროცესში

ჩემი კვლევა ფსიქოლოგიური არ არის და ჩემი ამოცანა არ ყოფილა, შემემოწმებინა გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორია. მე არც მრავალმხრივი ინტელექტის შესაძლო პედაგოგიურ მიდგომას ვამოწმებ მთლიანობაში. ჩემი კვლევის მიზანი მხოლოდ იმის გამორკვევაა, თუ რა გავლენა შეუძლია მოახდინოს მრავალმხრივი ინტელექტის მხედველობაში მიღებამ ინგლისურის როგორც უცხო ენის კითხვის სწავლებაზე, ამასთანავე ვგეგმავდი შემემოწმებინა ჩემი ჰიპოთეზა - თუ სტუდენტებს დავაჯგუფებთ მათი ინტელექტის დომინანტური ტიპის მიხედვით და მათთვის შესაბამისი სახეობის აქტივობებს გავუკეთებთ ორგანიზებას, მაშინ ეს დადებით გავლენას მოახდენს კითხვის სწავლებაზე. სწორედ ამიტომ ჩემი კვლევა არის ექსპერიმენტული.

ჩატარებული ექსპერიმენტის მიზნები შემდეგი იყო:

-ექსპერიმენტული ჯგუფების სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა ისეთი აქტივობების შეთავაზებით, რომელიც შესაბამისობაშია მათი ინტელექტის ტიპისთვის.

-კითხვის პროცესის გაიოლება და კითხვის დროს სტუდენტების მიერ სიამოვნების მიღება.

-ყოველი სტუდენტისთვის ინდივიდუალური მიდგომის შემუშავება.

-სტუდენტებისთვის უფლების მიცემა, რომ გამოიყენონ სწავლის ის სტრატეგიები , რომლებიც ეფექტურია მათთვის.

- და ბოლოს, კითხვის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება.

იმისათვის, რომ შეგვემოწმებინა ჩვენი ჰიპოთეზა, არჩეულ იქნა ინგლისური ენის ცოდნის ორი საშუალო და ორი საშუალოს-წინა დონის ჯგუფები, რათა შეგვედარებინა ორი, ერთნაირი დონის მქონე ჯგუფის სხვადასხვა სტრატეგიებით სწავლების შედეგები. კვლევა მიმდინარეობდა ექვსი თვის განმავლობაში. სტუდენტები გადანაწილებულნი იყვნენ შემთხვევითობის პრინციპით როგორც საკონტროლო, ასევე ექსპერიმენტულ ჯგუფებში. ეს მოხდა იმისთვის, რომ მაქსიმალურად დავრწმუნებულიყავით, რომ სისტემური კავშირი არ არსებობდა შერჩევის პროცესში და არჩეული მონაწილენი ნამდვილად წარმომადგენლობითი იყვნენ შესაბამისი საზოგადოებრივი ჯგუფისათვის. კვლევის მონაწილეები იყვნენ ინგლისური ენის მოსამზადებელი განყოფილების სტუდენტები, რომელთა ძირითადი სპეციალობა სხვადასხვა იყო. სულ 95 ცდის პირი გვყავდა.

დამოუკიდებელი ცვლადი იყო სწავლებისადმი მიდგომა. ორი საკონტროლო ჯგუფის სტუდენტებს არ მიუღიათ რაიმე სპეციალური სწავლება მრავალმხრივი ინტელექტის გათვალისწინებით, ხოლო ექსპერიმენტულ ჯგუფებში სტუდენტები დაჯგუფებულნი იყვნენ მათი ინტელექტის დომინანტური ტიპის მიხედვით და შესაბამის ზემოქმედებას ვახდენდით მათზე.

იმისათვის, რომ დამედგინა სტუდენტთა ინტელექტის ტიპი, ჩემს კვლევაში ორი სხვადასხვა სახეობის, ფურცელსა და ფანქარზე დამყარებული ანკეტირება ჩავატარეთ, სტუდენტების ინტელექტის დომინანტური ტიპების დასადგენად. ერთ ანკეტაში - მრავალმხრივი ინტელექტის ინვენტარი- საავტორო უფლებებით გამოყენებულ იქნა უოლტერ მაკკენზის კითხვარი, რომელიც მოვიძიეთ შემდეგი ვებ გვერდიდან: [//surfaquarium.com/MI/inventory.htm](http://surfaquarium.com/MI/inventory.htm), ხოლო მეორე კითხვარი ეკუთვნის ტომას არმსტრონგს, ამ თეორიაზე უამრავი წიგნის ავტორს.

მაქსიმალურად ვეცადეთ, რომ სხვა ცვლადები (სტუდენტთა ასაკი, გამოყენებული სახელმძღვანელო, დრო, რომლის განმავლობაშიც კითხვის გაკვეთილები

მიმდინარეობდა, დავალების სახეობები და ა.შ) კონტროლირებადი ყოფილიყო. ოთხივე ჯგუფს ასწავლიდა მკვლევარი. გამოყენებული იქნა ექსპერიმენტამდელი და ექსპერიმენტის შემდგომი ტესტები, რათა დაგვირგვინებოდა, რამდენად განუვითარდათ სტუდენტებს წაკითხულის გააზრების უნარი. ყოველ ჯგუფში განსხვავებულად მიმდინარეობდა კითხვის უნარების განვითარება. ექსპერიმენტულ ჯგუფებს ეძლეოდა პროექტები და დავალებები მათი ინტელექტის დომინანტური ტიპის მიხედვით. ეს ექსპერიმენტი ფოკუსირებული იყო იმის ძიებაზე, თუ მრავალმხრივ ინტელექტზე ფოკუსირებული სწავლება რა გავლენას ახდენს სტუდენტთა დამოკიდებულებებზე კითხვისადმი, სწავლის მოტივაციაზე და კითხვის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე. სწავლის სხვადასხვა სტრატეგია და მეთოდები ადაპტირებულ იქნა სტუდენტთა ინტელექტის დომინანტური ტიპისადმი. საკონტროლო ჯგუფში გამოყენებულ იქნა ტრადიციული მეთოდი (არ ყოფილა ხაზგასმა ინტელექტის დომინანტურ ტიპებზე). საკონტროლო ჯგუფის სტუდენტები აგრძელებდნენ ჩვეულებრივი მეთოდებით სწავლას: ტექსტების კითხვას, უცხო სიტყვების მოძიებას, კითხვებზე პასუხის გაცემას წაკითხული ტექსტის ირგვლივ. ერთი და იგივე დავალებები სრულდებოდა ყველა სტუდენტის მიერ მიუხედავად იმისა, თუ ინტელექტის დომინანტური რომელი ტიპის მატარებლები იყვნენ ისინი.

მას შემდეგ, რაც დადგინდა სტუდენტთა ინტელექტის დომინანტური ტიპები და შესრულდა ექსპერიმენტამდელი ტესტი, მე შევექმენი რვა განსხვავებული „სასწავლო ცენტრი“ ერთ სასწავლო ოთახში. თითო ასეთი ცენტრი წარმოადგენდა თითო ტიპის ინტელექტს. ასე მოწყობილი სასწავლო ოთახი სტუდენტებს კიდევ აძლევდა იმის საშუალებას, რომ ყველა სახეობის აქტივობებში მიეღოთ მონაწილეობა და ამავდროულად შეექმნათ სპეციალური სასურველი „კლიმატი,“ სადაც ისინი შეასრულებდნენ აქტივობებს საკუთარი ინტელექტის დომინანტური ტიპის მიხედვით. იმედი მქონდა, რომ საკლასო ოთახის ისე მოწყობა, სადაც შეიქმნებოდა „ინტელექტის ტიპისადმი მეგობრული“ გარემო, რაც დიდად დაეხმარებოდა სტუდენტებს, განევითარებინათ კითხვის უნარ-ჩვევები.

ექსპერიმენტის პროცედურა

სწავლის დასაწყისისთვის ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტი ჩატარდა ყველა ჯგუფს, რათა განსაზღვრულიყო მათი კითხვის უნარ-ჩვევების დონე. ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ ჩატარდა კიდევ ერთი ტესტი და ბოლოს შედარდა მათი შედეგები. უფრო მნიშვნელოვანი იყო გვენახა სტუდენტების კითხვის უნარ-ჩვევების ცვლილების პროგრესი, რომელიც აშკარად

გამოჩნდა იმ სამი მიღწევის ტესტში, რომელიც ექსპერიმენტში მონაწილე ყველა სტუდენტს ჩაუტარდა. მათი შედეგები მნიშვნელოვანი საზომი გახდა იმისა, თუ რა გავლენას ახდენდა მრავალმხრივი ინტელექტის გათვალისწინება სასწავლო აქტივობების მეშვეობით. შედეგები იხილეთ ცხრილში N1.

ცხრილი N1. ექსპერიმენტის შედეგები

	N	მინიმუმი	მაქსიმუმი	საშუალო ქულა	სტანდარტული გადახრა
წინასაექსპერიმენტო ტესტი (ექსპერიმენტული ჯგ.)	23	42	84	68.48	14.145
წინასაექსპერიმენტო ტესტი (საკონტროლო ჯგ.)	25	32	77	58.72	15.238
მიღწევის I ტესტი (ექსპერიმენტული ჯგ.)	23	34	77	60.87	13.616
მიღწევის I ტესტი (საკონტროლო ჯგ.)	25	20	96	58.88	27.24
მიღწევის II ტესტი (ექსპერიმენტული ჯგ.)	23	34	88	67.61	12.862
მიღწევის II ტესტი (საკონტროლო ჯგ.)	25	24	84	59.88	17.548
მიღწევის III ტესტი (ექსპერიმენტული ჯგ.)	23	40	100	76.96	19.641
მიღწევის III ტესტი (საკონტროლო ჯგ.)	25	29	72	57.36	11.489
ექსპერიმენტის- შემდგომი ტესტი (ექსპერიმენტული ჯგ.)	23	52	100	88.96	16.772
ექსპერიმენტის- შემდგომი ტესტი (საკონტროლო ჯგ.)	25	38	94	74.8	15.168

იგივე პროცედურა ჩატარდა საშუალო დონის ჯგუფთან და მიღებულმა შედეგებმა დაამტკიცა ჩვენი ჰიპოთეზა. შედეგები ასეთი იყო:

ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ექსპერიმენტამდელი ტესტისა და ექსპერიმენტის-შემდგომი ტესტის შედეგების შედარება გვიჩვენებს, რომ უნარ-ჩვევების დონე საექსპერიმენტო ჯგუფში უფრო გაიზარდა (66.44 → 86.80 – ზრდა 20.36 ქულით), ვიდრე საკონტროლო ჯგუფში (61.09 → 72.55 – ზრდა 11.46 ქულით). რაც შეეხება მიღწევის ტესტებს, ექსპერიმენტული ჯგუფის შედეგები ბევრად უფრო წარმატებული იყო (52.64 → 70.80 → 86.76), ვიდრე საკონტროლო ჯგუფის (54.09 → 64.27 → 64.32) შედეგები.

ექსპერიმენტში მონაწილე ყველა სტუდენტს ჩაუტარდა ექსპერიმენტამდელი გამოკითხვა ზოგადად ინგლისურ ენაზე კითხვასთან მიმართებაში. აღნიშნულ გამოკითხვაში ნათლად გამოჩნდა, რომ საკონტროლო ჯგუფში მაინც და მაინც არ იყო დადებითი განწყობა კითხვის მიმართ. საექსპერიმენტო ჯგუფებში კი, მას შემდეგ, რაც გამოყენებულ იქნა ინტელექტის ტიპის მიხედვით სტუდენტთა დაჯგუფება სწავლების პროცესში, კითხვისადმი დამოკიდებულება შესამჩნევად გაუმჯობესდა.

კვლევის ბოლოს ჩატარდა ინტერვიუ, რათა აღმოჩენილიყო მიზეზები, რომელიც იდგა მნიშვნელოვანი მონაპოვარის უკან კითხვის სწავლებასთან დაკავშირებით მთელი წლის განმავლობაში. როგორც საშუალო, ისე საშუალოს-წინა დონის საექსპერიმენტო ჯგუფებიდან მონაწილეობა მიიღო სულ 35-მა მოხალისე სტუდენტმა. ყველა ინტერვიუერმა დადებითად შეაფასა ის დინამიური ატმოსფერო, რომელიც სუფევდა ამ ჯგუფებში კითხვის სწავლების პროცესში. მათ მრავალმხრივი ინტელექტის გათვალისწინებით სწავლების სტრატეგია ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნიეს. ამას გარდა, ბევრმა სტუდენტმა აღიარა, რომ სწავლების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება სხვადასხვა შემსწავლელელებისათვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ინდივიდუალურად წაკითხულის გააზრების დროსაც. ეს ძალიან დასაფასებელია. სტუდენტების კომენტარები ინტერვიუს შეკითხვებთან დაკავშირებით ამყარებს და მხარს უჭერს ჩვენს მიერ მიღებულ ექსპერიმენტულ შედეგებს.

დასკვნა

1960-იან წლებში „ჰუმანიზმის“ გამოჩენამ ხელი შეუწყო იმას, რომ ჩვეულებრივი, ავტორიტარული, მასწავლებელზე ორიენტირებულ სწავლებას ადგილი დაეთმო სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისთვის. სწორედ ამიტომ, დღეისათვის მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება ასეთი მნიშვნელოვანი გახდა ენის სწავლების პროცესში.

მრავალმხრივი ინტელექტის თეორია, რომელიც 1990-იან წლებში ჰოვარდ გარდნერმა შემოგვთავაზა, ამტკიცებს, რომ არ არსებობს ერთგვაროვანი ინტელექტი. ის გამოხატულია რვა ტიპით: ლინგვისტურ-ვერბალური, მათემატიკურ-ლოგიკური, სივრცითი, პიროვნებათაშორისი, ინტრაპერსონალური, მუსიკალური, კინესთეტიური და ნატურალისტური ინტელექტის ფორმით.

ჩემი კვლევის ლოგიკა მიმართული იყო კითხვის სწავლებაში მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის გამოყენებისკენ იმისათვის, რომ კითხვის უნარ-ჩვევების ხარისხი გაზრდილიყო. ექსპერიმენტი (რომელსაც ახლავს კითხვარები და ინტერვიუები) ჩატარდა 2 საკონტროლო ჯგუფში მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის უგულვებლყოფით და 2 ექსპერიმენტულ ჯგუფთან - ამ თეორიის გამოყენებით. ექსპერიმენტულ ჯგუფებში გამოვლენილ იქნა სტუდენტთა ინტელექტის დომინანტური ტიპები, სტუდენტები დაჯგუფებულები იყვნენ ინტელექტის საერთო ტიპის მიხედვით და შესაბამისი დავალებები ეძლეოდათ როგორც კლასში, ისე სახლში.

შედეგები, რომელიც წარმოდგენილია დისერტაციის დასკვნაში, დამყარებულია სტუდენტთა ინტერვიუებსა და გამოკითხვებზე, ექსპერიმენტამდელ, ექსპერიმენტის პერიოდში და მის შემდეგ ჩატარებული ტესტირების შედეგებზე, რომლებიც ადასტურებენ კვლევის ჰიპოთეზას.

1. ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ინგლისურ ენაზე კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებასთან, არის სტუდენტთა ნეგატიური დამოკიდებულება კითხვისადმი და დაბალი მოტივაცია. ეს კვლევა გვთავაზობს მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის ზოგიერთი ცნების ადაპტაციას ენის სწავლების ცენტრებში, რაც გაზრდის სტუდენტთა მოტივაციას და შეცვლის მათ დამოკიდებულებას კითხვის მიმართ.

2. შედეგებმა ცხადყო, რომ ჯგუფური მუშაობის გამოყენება სწავლის პროცესს უფრო ნაკლებ სტრესულს ხდის, შესაბამისად, იზრდება მოტივაცია და კომფორტულობის განცდა. თუ ზოგიერთი სტუდენტი თავს არაკომფორტულად გრძნობდა მთელი კლასის წინაშე საკუთარი იდეების გამოთქმის დროს, ინტელექტის ერთნაირი დომინანტური ტიპის ჯგუფში მუშაობისას, მას შფოთვის დონე უმცირდებოდა. სტუდენტთა ინტერვიუების შედეგებმა დაადასტურა ეს მოსაზრება. კვლევაში მონაწილე სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათი საკლასო ოთახი ოჯახს დაემსგავსა, სადაც მათ შეეძლოთ ნებისმიერ თემაზე ესაუბრათ და არ ეგრძნოთ სიმორცხვე. ჯგუფური მუშაობის დროს, როდესაც სტუდენტები ერთმანეთს უზიარებდნენ აზრს,

ასრულებდნენ რაიმე დავალებას და როლები გადანაწილებული ჰქონდათ, უმცირდებოდათ სტრესი და უმძაფრებდათ პასუხისმგებლობა, რათა შეძლებისდაგვარად საუკეთესოდ შეესრულებინათ მათზე დაკისრებული მოვალეობა.

3. ინტერვიუში ზოგიერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ როდესაც მათ ინგლისურად საუბრისა თუ კითხვის საშუალება ეძლეოდათ, ისინი ძალიან განიცდიდნენ. უმეტესი სტუდენტი ყოყმანობდა, ესაუბრა ან წაეკითხა თუ არა მთელი კლასის წინაშე, ეს გასაკვირი არც იყო, რადგან მათი ინგლისური ენის უნარ-ჩვევების დონე არ აძლევდათ მათ ამის საშუალებას. მათ სურდათ მხოლოდ ეკითხათ მხოლოდ მარტივი ტექსტები და შეესრულებინათ დავალებები შინაარსის გაუცნობიერებლად. მიუხედავად ამისა, მათ თავი უფრო კომფორტულად იგრძნეს, როდესაც ინტელექტის ერთნაირი დომინანტური ტიპის მქონე პარტნიორებთან ერთად მოუწიათ ტექსტის კითხვა ჯგუფური მუშაობისას. მათ შეძლეს წაეკითხათ, გაეგოთ და დაეწერათ ყოყმანის გარეშე. ექსპერიმენტამდელი გამოკითხვისას საშუალო დონის ჯგუფის ნახევარმა აღნიშნა, რომ ისინი არ იყვნენ კარგი მკითხველები, ეს ნიშნავს, რომ არსებობდა ნეგატიური დამოკიდებულება ზოგადად კითხვასთან მიმართებაში. ექსპერიმენტის შემდეგ ეს მონაცემი გაიზარდა 72%-მდე, მაგრამ სტუდენტები უკვე სიხარულით აღნიშნავდნენ, რომ ისინი კომპეტენტური მკითხველები გახდნენ. ეს შედეგი გვიჩვენებს, რომ მრავალმხრივი ინტელექტის თეორიაზე დაყრდნობა დადებით გავლენას ახდენს კითხვის სწავლებაზე.

4. მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის გამოყენების დადებითი ეფექტი დადგინდა მონაცემთა ანალიზზე დაყრდნობით. სტუდენტებმა ხარისხობრივად გააუმჯობესეს კითხვა. ეს ზრდა დამტკიცებულია ექსპერიმენტამდელი, ექსპერიმენტის მიმდინარეობისას ჩატარებული და ექსპერიმენტის-შემდგომი ტესტირების შედეგების შედარების საფუძველზე.

5. სტუდენტების განსხვავებული ტიპის ინტელექტის აღიარებამ შექმნა ყოველი ინდივიდუალისთვის მაღალი დონის თავდაჯერებულობა. მრავალმხრივი ინტელექტის მოდელის გამოყენებით სწავლის პროცესში სტუდენტები აღიარებენ როგორც საკუთარ, ისევე თავის მეგობრების ძლიერ მხარეებს.

6. აღმოვაჩინე, რომ მრავალმხრივი ინტელექტის თეორიაზე დაყრდნობა სასწავლო პროცესში ახალისებს სტუდენტებს და ფიქრს აწყობინებს, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით. ეს ნაჩვენებია იყო გრაფიკულად

და ორგანიზებას უკეთებდა სტუდენტთა აზროვნების მიმართულებას სხვადასხვა ინტელექტის გაერთიანებით.

7. მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის გამოყენების მნიშვნელოვანი წვლილი ვლინდება კოოპერაციული ჯგუფების შემთხვევაში. ამ სტრუქტურის შედეგად ინტერპერსონალური სოციალური უნარ-ჩვევები მუდმივად ისწავლებოდა, მოდელირდებოდა და გამოიყენებოდა ყოველ ექსპერიმენტულ ჯგუფში. სტუდენტთა ქცევა ზოგადად კონცენტრირდებოდა დავალებაზე, რადგან შემსწავლელებს საშუალება ჰქონდათ მრავალმხრივი ქცევებიდან ამოერჩიათ ის, რომელიც პრობლემას მოუგვარებდათ. ამან მოუტანა ჯგუფს და ინდივიდებს წარმატება და მთელი კლასი მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს. იმის მიხედვით, თუ რომელი ტიპის ინტელექტი გამოიყენებოდა დავალებაზე მუშაობის დროს, ყოველ ინდივიდს ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ ყოფილიყო ლიდერი.

8. მრავალმხრივი ინტელექტის თეორიაზე დაფუძნებული კოოპერაციული მეცადინეობა არ იყო ტრადიციული სამუშაო ადგილი. ის ფოკუსირებული იყო ინტერაქციულ-ვერბალურ გამოცდილებაზე, აღმოჩენაზე, გაგებაზე, შექმნაზე და კითხვებზე. მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის გამოყენებამ ჩემს კვლევას შესძინა ამაღელვებელი ელფერი, მაჩვენა სწავლების განსხვავებული გზები და მომცა შანსი, დამემლია ბევრი სირთულე, რომელიც გამოიკვეთა სასწავლო პროცესში.

9. საშინაო დავალების შესრულების დროს სტუდენტებმა უფრო მეტი ინტერესი გამოიჩინეს, რადგან მასში გათვალისწინებული იყო მათი ინტელექტის დომინანტური ტიპი. საშინაო დავალების შესრულების ხარისხი გაუმჯობესდა. ეს, ალბათ, გამოწვეული იყო სტუდენტთა ინტერესის ზრდით დავალებების მიმართ, რომელიც ასევე მათი ინტელექტის დომინანტურ ტიპზე იყო დამყარებული და ხდოდა გაკვეთილს უფრო საინტერესოდ, ვიდრე ტრადიციული, ყველასთვის ერთნაირი დავალებების შემცველი გაკვეთილი.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით რამოდენიმე რეკომენდაცია იქნა შემუშავებული მომდევნო კვლევისთვის. პირველი, ჩემი კვლევის მასშტაბი ლიმიტირებული იყო, იგი შემოიფარგლებოდა იმიჯის უნივერსიტეტის ქალაქ არბილში ინგლისურის მოსამზადებელი სკოლით. ლიმიტირებული იყო მონაწილეების რაოდენობაც, მხოლოდ ორი ექსპერიმენტული და ორი საკონტროლო ჯგუფი, რომელთაც ჰქონდათ ინგლისური ენის ცოდნის საშუალო და საშუალოს-წინა დონე. მომავალში კვლევის მასშტაბები უნდა გაფართოვდეს და მოიცვას უფრო მეტი საბაკალავრო, პროფესიული სასწავლებლების ინგლისური როგორც უცხო ენის პროგრამის

სტუდენტები, რათა მეტი მტკიცებულებით ვაჩვენოთ მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის გათვალისწინების ეფექტი ინგლისური ენის შესწავლის ნებისმიერი შემადგენელი უნარ-ჩვევის განვითარების პროცესში.

ყველა მკვლევარს საკუთარი აზრი გააჩნია და ეს ძალაუნებურად გავლენას ახდენს როგორც კვლევის პროცესზე, ისე მის შედეგებზე. ერთი შესაძლო სიძნელე, რომელიც მოსალოდნელია, წარმოიქმნას ექსპერიმენტის დროს, არის მკვლევარის როგორც მასწავლებლის მონაწილეობა კვლევაში, რადგან ამან შესაძლოა ობიექტურობის დაკარგვამდეც კი მიგვიყვანოს. სწორედ ამ მიზნით რეკომენდაციას ვუწევ მკვლევარებს, ვინც ამ პრობლემით დაინტერესდება, მოაგროვონ მონაცემები რაც შეიძლება მეტი ოდენობით, რათა დარწმუნდნენ, რომ მათი კვლევის შედეგი ობიექტურია და რეალობას წარმოადგენს სტუდენტთა ნებისმიერი ჯგუფისათვის.

იმისათვის, რომ მრავალმხრივი ინტელექტის ამსახველი აქტივობები შევქმნათ, დიდი დროა საჭირო. მასზე დამყარებული სწავლება მოითხოვს კრეატიულობას, მდიდარ მასალას, ხმაურისადმი ტოლერანტობას და დამატებით დროს. მოქმედების გეგმის მომზადება მისცემს მკვლევარებს საშუალებას, უფრო მეტად ყურადღება გაამახვილონ საკვლევ საკითხებზე, ღრმად ჩასწვდნენ საკვლევ საკითხებს და, შესაძლოა, კიდევ უფრო დამაჯერებლად დემონსტრირება გაუკეთონ მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის გამოყენების უპირატესობებს.

შემდეგი, კვლევის დროს რაც შესამჩნევი გახდა ჩემთვის, იყო შესამოწმებელი სიის (ე.წ. check-list-ის) აუცილებლობა, სადაც მასწავლებელი დააფიქსირებდა დავალების შესრულების დროს, სტუდენტთა მონაწილეობის სიხშირეს და მათი კოოპერაციულობის ხარისხს.

მიზნის მიღწევა და წარმატება სტუდენტებში იმ სურვილის დაბადებაა, რომელიც მათ გაკვეთილებზე დასწრების სურვილს გამოათქმევინებს, აქტიურად ჩართავს აქტივობებში და ცოდნას მიაღებინებს. თუ ეს არ მიიღწევა, მაშინ მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა მიდგომას გამოიყენებთ, აკადემიური შეფასება იქნება იმაზე დაბალი, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

დისერტაციის შინაარსი და ძირითადი დებულებები აღწერილია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. Suleyman Çelik. (2011). An Overview of Different Types of Intelligences: Raymond Cattell's Theory of Crystallized and Fluid Intelligence, Robert Sternberg's Triarchic

Theory of Intelligence, and Howard Gardner's Theory of Multiple Intelligences. The First International Research Conference at the Faculty of Education on Education, English Language Teaching, and Literatures in English. IBSU, Tbilisi, p. 30-38

2. Suleyman Çelik. (2011). An Overview of Case Studies about the Influence of Multiple Intelligences on Teaching Language. In A.Akbarov (ed.). *Languages for Specific Purposes in Theory and Practice*. Newcastle, UK. Cambridge Scholars Publishing. p.147-158
3. Suleyman Çelik. (2012). The Influence of Multiple Intelligences on Teaching Reading in a Foreign Language. *IBSU Journal of Education*, 1(1), p. 5-9
4. Suleyman Çelik. An Investigation on the Application of Multiple Intelligence-Based Teaching in the Process of Teaching Reading to EFL Students. *IBSU Journal of Education*, 1(2), p.5-20